პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 7 (18249) კვირა, 10 იანვარი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ბულია ამ ახალ-გაზრ-დების ნახე-ლავი

ნაყოფიერი იყო გასული კვირა

სამართლის ძალა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 7 (18249) კვირა, 10 იანვარი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

თბილისი

კონიაკის ქარხნის კოლექტივი მოწინააღმდეგე რიგებშია. 1981 წელს გეგმის გადამეტებით საწარმოში 1.800 ათასი მანეთიან პროდუქცია გამოუშვეს და 350 ათასი მანეთი ზეგეგმით მოგება მიიღეს. წარმატებებია მოპოვებული სხვა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც. შრომის ნაყოფიერება, მაგალითად, დაგალებასთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა.

ახალი შრომითი ენთუზიაზმი სუფევს მიმდინარე წელსაც. განსაკუთრებით აღრმავდა მეშაობა ჩამოსხმისა და საკუთარი საამქროების კოლექტივები, რომელსაც ნ. ხუთისარაშვილი და დ. ელიოზიშვილი ხელმძღვანელობენ.

შ. თევდორაძე.

ჭიათურა

სალეთეთის წითელი მარმარილო თავისი დეკორატიულობით ერთ-ერთი საუკეთესოა. ამაზე მეტყველებს შემავეთთა სიმრავლეც. 1981 წელს 282 მისაბარათით ჩეხავენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ქართული მარმარილო ამშენებს მოსკოვისა და ტაშკენტის მეტროპოლიტენებს, გორკისა და ოდესის ახალშენებლობებს...

ასეთი დიდი მოთხოვნა მის მომპოვებლებს დიდ საზრუნავს უჩენს. მაღაროთა-სამმართველოს კოლექტივი ამ საქმეს კარგად ართმევს თავს.

მარმარილოს მომპოვებლებმა დიდი წარმატებით დაამთავრეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი. გეგმის გადამეტებით დიდი ოთხდენიანი მარმარილოს ფილა, ბლოკი და ნამეცი გაეგზავნა მომხმარებელს, შემკვეთთაგან მხოლოდ სამადლობელი წერილები მოდის.

სალეთეთის მარმარილოს მომპოვებლებმა ახალი წლის პირველ დღეებში მუშაობის ტემპს საგრძნობლად უმატეს. (ხაკ. კორ).

იზრდება მოგება

ზესტაფონი. „საქკაბელის“ ქარხნის კოლექტივმა გასულ კვირას თავდადებით იშრომა და გაუსწორ გრაფიკს. ამას კი ხელი შეუწყო მტკიცე მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, რომელიც აქ შექმნეს. შარშან მეკაბელეებმა წლიური გეგმის გადამეტებით 400 ათასი მანთის პროდუქცია გამოუშვეს, დანერგეს ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლენი, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

ახალი მიჯნების მისაღწევად ქარხანაში შეიმუშავეს; გაანზოგელი სამუშაო პროგრამა, რომელიც დაეხმარება კოლექტივს დაძაბული საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებაში. როგორც ცნობილია, რუსეთელეთში ზესტაფონელმა მეკაბელეებმა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთ საუკეთესო შედეგს მიაღწიეს. ამ მიმართულებით წლეულსაც მრავალი ღონისძიების განხორციელება დაგეგმილი. ქარხანაში უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვისათვისაც დაიწყო მუშაობა. იხილეწება ტექნოლოგიური სიახლე, რომელიც ომადალში საშუალებას მისცემს მეკაბელეებს ნარჩენებისაგან ფასოთა მოხმარების საგნები დაამზადონ.

სსრ კავშირის მე-50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გასულ კვირას დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც გ. კაპანაძე ხელმძღვანელობს. წარმატებას აღწევენ მზნეობავები ვ. ეფიმბერიძე, ა. შველიძე, შ. ღონღაძე, ვ. კაპანაძე და სხვები.

მოსკოველთა მაგალითით

ბოგდანოვკა. (ხაკ. კორ). სამკვერცხო ფაბრიკის კოლექტივი რაიონში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოსკოველ მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას — „სსრ კავშირის შემქმნის 60 წლის თავს —60 დამკვრელი შრომითი კვირა“. ამ დღეებში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მკვერცხეებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს და გასული წლის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მომხმარებელმა 300 ათასი ძანეთის პროდუქცია მიიღო. ფაბრიკაში ახალი შრომითი ალაღლობით დაიწყეს ახალი წლის პირველი დღეები. ჭარაგვები დაალებას გადაჭარბებით ასრულებენ.

მოშავალი მოსავლის საწინდარი

რესაუზალიაში ფართოდ გაჩაღდა ზამთრის ტენსაგროვებელი რწყვის სამუშაოები. დღე-ღამის განმავლობაში საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების 1500-2000 ჰექტარი ფართობები იწყვება.

— განსაკუთრებით ინტენსიურად რწყავენ მიწას რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც; თავმოყრილია საშემოდგომო თავთავიანი და საკვები კულტურების, ბოსტნეულის, ვენახების ძირითადი ფართობები, — უთხრა საინფორმის ოლუსპონდენტს საქართველოს სსრ მელიორაციის სამინისტროს საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსმა დ. ტკელიანმა. მაგალითად, ხიხილის ბაღები მოიწყო 14778 ჰექტარზე, სამშემოდგომო ნათესები — 15109 ჰექტარზე. სწრაფი ტემპით აწარმოებენ ტენსაგროვებელ რწყვას. გარდაბანის, მაონელის, ალოის, საკაოჭოს, მეცხეთის, ბოლნისისა და ქარელის რაიონების მეურნეობებში. მნიშვნელოვნად ჰიმორჩენიან მათ ასპინძის, ლეშეთისა და რუსთაველის სხვა რაიონები, სამხრეთ ოსეთი.

საქართველოში სარწყავ მიწებს მთელი სანნაგის მეხუთედი უკავია. აქედან იღებენ საკვები ბალახების თითქმის ნახევარს, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის მოსავლის დიდ ნაწილს.

სკკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მიმდინარე ხუთწლედში საქართველოში განზორციელდა საექსპლოატაციოდ ჭალადაგი 60 ათასი ჰექტარი სარწყავი და 35 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწა.



„ელვის“ მარკით

თბილისი. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის პროდუქციის ნახევარზე მეტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანია.

საწარმოში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისა და საკავშირო ალიკ მომბადელი ყირიმის ღირსეული შეხვედრისათვის. ამ დღეებში ასობით ქალაქელი და ჭაბუკი უშვებს პროდუქციას კომკავშრომელი და ჭაბუკი უშვებს გარანტიით.

„ელვის“ მარკიანმა მანქანებმა ფართო პოპულარობა მოიპოვეს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. ეს მანქანები ავტომატურად მართავენ ტექნოლოგიურ პროცესებს სახელობ მეურნეობის როგორც ცალკეული, ისე მთელ დარგებში.

„გონიერი“ მანქანების შემქმნელებმა შარშან სამშობლოს ვადაზე ადრე უპატაკეს ზეგეგმითი პროდუქციის გამომშვებლის ვალდებულების შესრულებას.

სურათებზე: შეჯიბრების მეწინავეთა შორის ასახელებენ კომკავშირელს, კომფუნქტორი შრომის ბრიგადის წევრს, ელექტრომომონტაჟე ნინო კოზაშვილს (შუა სურათზე); ყველაფერი როდი გამოსდის ჯერჯერობით ახალგაზრდა მუშას, ამიტომ გულდაჯერებით უსმენს, განუმარტავს მას № 24 საამქროს კომკავშრომული ორგანიზაციის მდივანი, ავტომატიზაციის მექანიკოსი ოლეგ ტერეშენკო (ქვემო სურათზე); გამმართველი ინეინერები, კომკავშირელები ბ. ტუღუში (მარცხნივ) და ნ. ქელბაქიანი ამოწმებენ ახალ პროდუქციას.

ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოკორონეა).

მეგობრულ ვითარებაში

18 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ესაუბრა მალტის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. შებერას ტროგონას, რომელიც ეწვეოდა იმყოფება სსრ კავშირში.

მინისტრებმა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე ახლოს გაზიარებისას შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ მსოფლიოში სულ უფრო მწვავდება საერთაშორისო ვითარება. ამასთან დაკავშირებით ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის იმ ახალი წინადადების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეკვეცისა და საბრძოლო დანიშნულების ბირთვული ტალღების ფრენის შეჩერების შესახებ. განხილულ იქნა ზოგიერთი საკითხი, რომლებიც ეხებოდა მადრიდის შეხვედრის მუშაობას, ხმელთაშუაზღვისპირეთის რაიონში შექმნილ ვიდგომარეობას.

ა. შებერას ტროგონამ განაცხადა, რომ მალტის მთავრობა გაუხარელად დაიცავს ნეიტრალიტეტს და მიუმხრობლობის პოლიტიკას, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუწყოს ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.“

საუბარმა მეგობრულ, საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

ა. ა. გრომიკომ საუზმე გამართა ა. შებერას ტროგონას პატივსაცემად.

□ □

ამავე დღეს გაიმართა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევისა და ა. შებერას ტროგონას საუბარი. განხილულ ოთი ქვეყნის საეკონომიკური ურთიერთობის განვითარების საკითხები. (საკ. დეტ).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ნ. ვ. გუბგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ნელი ვლადიმერის ასულ **გურგენიძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი.

1982 წლის 8 იანვარი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

არ მოქმედებენ შტაბები — ცდება ვაგონები

ჯაბის ჩამოსასხმელი ქარხნის მუშაები ვაგონებიდან ტარას ცალან საწარმოში თავიანთი უშუალო მოკალეობის შესრულების ნაგვლად. ამავე რაიონულ ცენტრში, აგრეთვე ჭიათურასა და სამტრედიაში ახალი წლის დამდეგი ვაგონების დიდი მოცდენებით აღინიშნა. ნორმალურ დატვირთვა-გადმოტვირთვას ამბოკოლებს თბილისის, ბათუმის, ქობულეთისა და სხვა ქალაქების მთელ რიგ საწარმოთა მისასვლელი გზების ცუდი მდგომარეობა. არსად არ იყენებენ ღამის საათებს დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის. სატრანსპორტო კონვეიერის რიტმის დამრღვევენი უმჩაგლეს შემთხვევაში დაფსაჯენი რჩებიან.

ამ და ბევრმა სხვა ფაქტმა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობისადმი მიძღვნილ თათბირზე მოიყვანეს, მის მონაწილეებს საფუძველი მისცა გამოეტანათ დასკვნა: ბათუმის, ცხინვალის, ჭობალეთის, ჭიათურის, სამტრედიის, ბოლნისის, ჯავის, ახმეტის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, აგრეთვე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის კიროვის რაიკომში შექმნილმა შტაბებმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს მკვეთრი გარდატეხის მოხდენა რკინიგზის ტრანსპორტის რიტმული მუშაობის უზრუნველყოფაში, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციათა დროულ შესრულებაში. ამ შტაბებს პრაქტიკულად არა აქვთ კავშირი რესპუბლიკურ შტაბთან. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ზოგადად საქმის ვითარების გაუმჯობესებისა და მისასვლელ გზებზე მოცდენილი ვაგონების რაოდენობის მკვეთრი შემცირების იმ ტენდენციის ფონზე, „რომელიც 1982 წლის პირველ დღეებში დასახასა.

ამავე დროს შესამჩნევად გაზარდა ვაგონების მოცდენა რკინიგზის სადგურებში.

ვაგონების მოცდენის ლავიდაცია თვითმიზანი როდია, მთავარია შემეცილეს ვაგონების ბრუნვის დრო, რაც მიღიონობით მანეთით შეამცირებს სახალხო მეურნეობის სატრანსპორტო ხარჯებს.

ღონისძიებანი, რომელსაც ამიერკავკასიის რკინიგზა ახორციელებს ვაგონების მოცდენის სრული ლიკვიდაციის მიზნით, თათბირს გააცნო რკინიგზის უფროსის პირველმა მოადგილემ ზ. დ. ჰაპაკამ.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ხეიციმ.

სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის, ხილეობატნეულის მეურნეობის სამინისტროთა მიზეზით რკინიგზის სადგურებში და მისასვლელ გზებზე ახალი წლის პირველ დღეებში დაგროვდა მნიშვნელოვანი რაოდენობის გადმოტვირთვი ვაგონები.

ეს ითქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე, რომელსაც ეიმიშვილა შექმნილი ვითარების სასწრაფო ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაკერიამ. (საქინფორმი).

ნაბიჯ-ნაბიჯ ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ერთად მოვკიდებთ ხელს...

სოფლის რაიონის ინდუსტრია

დიდი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები შეიტანა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ობრის ცხოვრებაში ოთხი ადგილობრივი კოლმეურნეობის მეცადინეობით აქ შექმნილმა ელექტროტექნიკურ ნაკეთობათა საწარმომ. შარშან წარმოების მოცულობამ აქ 600 ათას მანეთს მიაღწია, ორასზე მეტმა კაცმა ჯარმოშალიან მხარეში შესაფერისად გამოიყენეს თავისი ძალები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე აღინიშნა, რომ საზოგადოებრივთან პირადი ინტერესების სწორი შეხამების, თავისუფალი შრომითი რესურსების მიზანმიმართული, მაღალეფექტიანი გამოყენების მაგალითი შეიძლება გახდეს ისეთი გამოცდილება, როცა მაღალრენტაბელური საწარმოს მთელი შემოსავალი ნაწილდება მეპაიე კოლმეურნეობებს შორის და გამოიყენება მეურნეობის ეკონომიკური სტაბილურობის ამაღლებისათვის, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრისათვის.

... საწარმო მოთავსებულია აფიელი ღონის ქარხნის შენობაში. პატარა საამქროებმა, ძირადდირებული მოწყობილობის შეძენასთან დაკავშირებულმა სიძვირეებმა ბეგრად განაპირობა პროდუქციის ხასიათი — ეს არის მანაწილეებელი დაფები, ელექტროტექნიკური სადენიანი სქემები, ამავე დროს გაითვალისწინეს ადგილობრივ მეცხოვრებთა მომზადების დონეც, რომელთა უმრავლესობას ახალი საწარმოს გაჩნისის დროს არავითარი მეშური პროფესია არ გააჩნდა.

სპეციალიზაციის ხასიათი ნაკარნახევი იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოსაზრებით — ისეთ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა. საქმე ის არის, რომ მისი დამზადების ტექნოლოგიური პროცესი გამოიჩეჩავს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართო გამოყენებას, და ამტომაც დიდ საწარმოებში, სადაც მაღალკვალიფიციური მუშები შრომობენ, მისი წარმოება არაეფექტიანია, მაგრამ აუცილებელია...

როგორილაა მთიან სოფელში ამ წარმოების შექმნის მოტივები?

— უფრო სრულად დავსაბუთებთ თავისუფალი შრომითი რესურსები, — გვიპასუხებს ამ კითხვაზე საწარმოს დირექტორი ავთანდილ ქარაბაკი, — აგრეთვე, უზრუნველყოფთ კოლმეურნეობების დამატებითი შემოსავალი. მოვიყვან ასეთ ფაქტს: ჩვენს რაიონში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დიდი ხნის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალი იყო რესპუბლიკაში, შრომისუნარიან ქალთა თითქმის ორ მესამედს არ შეეძლო გამოყენებინა თავისი ძალები. ახლა სიშელება გვაქვს საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაებმნ სულ უფრო მეტი ადგილობრივი მოსახლეობა — ჩვენი საწარმო ხომ ნიადაგ ფართოვდება, უკვე გვაქვს ორი ფილიალი მთიან სოფლებში. გარდა ამისა, მეურნეობები ყოველწლიურად ათიათასობით მოგებას ოღებენ.

ფაქტები მოწმობს: საწარმოებში მომუშავეთა საშუალო ასაკი 27 წელია. მთელი კოლმეურნეობის 91 პროცენტს ქალები შეადგენენ. ამათგან 52 პროცენტი გათხოვილია და ორიოდან ხუთ შვილამდე ჰყავს.

— ჩვენს სოფელ ობრაში ქალებს არასოდროს არ ჰქონიათ მუშური პროფესია, — თქვა ბემონტაჟე მედელი ბურკანაძემ. ახლა კი, ისე, რომ ოჯახს არ მოგაკლათ ყურადღება, შეგეძლია ვიმუშაოთ წარმოებაში, წელილი შეეტანოთ ოჯახის ბიუჯეტში.

— ბავშვებს ვიოა ულიოს, სანამ დედა სამუშაოზეა?

— ჩვენ ერთი

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲝᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲐ

„ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ ᲛᲝᲒᲐᲡᲐᲮᲘᲠᲝᲗ!“ — ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲗᲣᲠᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲛᲝᲛᲠᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲗ ᲒᲐᲣᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ „ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ“ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲛᲔᲝᲗᲔᲠᲘ ᲩᲣᲠᲣᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲑᲘᲗ ᲤᲐᲠᲗᲝᲗ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲬᲠᲘᲜᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲛᲝᲛᲠᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲗ ᲒᲐᲣᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲗᲣᲠᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲛᲝᲛᲠᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲗ ᲒᲐᲣᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲗᲣᲠᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲛᲝᲛᲠᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲗ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲬᲠᲘᲜᲔᲑᲘᲗ

 კომუნისტი
საკავშირო საკითხავი

აფხაზი მწერლისა და მეცნიერის გახსენება

ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომისა და მისი ავტორის უიღბლო ისტორია

ლავრენტი ჩოტყა მე-19 საუკუნის აფხაზური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი იყო პირველი სწავლული აფხაზთა განათლება, რომელმაც განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო და ერის ალორძინების დიდ საგანმანათლებლო ასპარეზზე უმრავლეს მოღვაწეობით ისახელა თავი. დიდი ჩოტყეა ქართველ სამეცნიერთა უმცროსი თანამედროვე იყო და მათი კეთილშობილური იდეების თანამოზრე. მრავალრიცხოვან საგაზეთო-ჟურნალურ მიმართულების წერილებთან ერთად მასვე მიეკუთვნის შვიდნერი ნაშრომი „აფფხისტყაოსანზე", რითაც მან ეროვნული ეპოსის ფურცელი ადიდა ქართველი და აფხაზი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, ერთობლივი ცხოვრებიდან განმტკიცებულ მეგობრობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამწერლო თუ სამეცნიერო სარბიელზე პირველი გამოჩენისთანავე მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა თანამედროვეთა შორის, ახალგაზრდა სწავლულს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ...

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაუხარია -ვისმე განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს... მგარეხას მისი კამოცანა!..." დიდი აკაკის ეს სიტყვები თითქოს ზედგამოჭრილია დავით ჩოტყაზეც, რომელმაც თავის თავზე გადმოსცადა მთელი ის უკუღმართობა, რაც ცარიზმის პოლიტიკის მუდმივი თანამგზავრი იყო.

□ □

ჩვენს დროში ამ მართლაც უსამართლოდ მივიწყებულ მოღვაწეს, როგორც მოსაოდნელი იყო, თავისნა ქომაგები გამოუჩნდნენ ქართველ თუ აფხაზ მწერალთა და მეცნიერთა შორის. გასაკვირია, რომ ამ ბოლოს-ხანს ალალმეტყველ ადგილ-ადგილ ეროვნული ნაშრომებში.

როგორც ცნობილია, ქართულ-აფხაზურმა თემამ გასაგები მიზეზების გამო საპატიო ადგილი დამიკავდა ამ ეროვნული ისტორიკოსის ნაშრომებში. ასეთ დროს, ეუკვლია, გადამწყვეტი როლი შეასრულა არა მარტო მეცნიერის უტყუარმა ალღომ, არამედ ოჯახურმა გარემომ და საკუთარმა ბიოგრაფიამ. ისტორიკოსის მამა, ნიკო ჯანაშია, აფხაზური კულტურის შესწავლის ერთი პიონერთაგანი იყო, ხოლო თვით სიმონ ჯანაშიამ სიყმაწვილის საუკეთესო წლები სწორედ აფხაზეთში გაატარა.

ამიტომაც, როგორც მეცნიერია, მან არა მარტო იცოდა, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, მთელი არსებით გრძნობდა, რამდენად ფაქიზ მოპყრობას ითხოვდა ზემოაღნიშნული პრობლემა, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ქართველი, ისე მისი ერთ-ერთი თანამშრომე აფხაზი ხალხის ისტორიის მართებული გაშუქებისათვის.

სანიმუშოდ იკმარებდა ვრცელი მონოგრაფია გიორგი შარვაშიძეზე, რომელიც წინ უძღვის მისივე რედაქციით გამოცემულ შარვაშიძის თხზულებათა კრებულს (1946 წ.). არჩევანი უცთომელი აღმოჩნდა, რადგან მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე გიორგი შარვაშიძე იყო სწორედ ის ფიგურა, რომელიც იმვითარი ღირსებით ატარებდა ყველა თვისებას, რაც დღესაც სამაგალითოა და ამასთან ხაზგასმით მიგვანიშნებს ორი მომენტ ხალხის მსგავს ისტორიიულ ბედ-იღბალს, ულრმესი პატეტიზმით ბედ-ისბალს, ულრმესი პატეტიზმით

ჩოტყას ტრაგიკული ბიოგრაფიის რამდენიმე ეპიზოდი, მით უფრო, რომ მათ პირდაპირი კავშირი მოეპოვებათ თვით ალნიშნული ნარკვევის წარმოშობის ასევე უცნაურ თავგადასავალთან.

დავით ჩოტყა დაიბადა ისტორიული სამურზაყანოს სოფელ საბერიოში (ამჟამად გალის რაიონი) 1849 წლის 11 იანვარს. მამა, ზურაბ მანუჩარის ძე ჩოტყა, საკმაოდ შეძლებული თავადი, რუსეთის მთავრობის მიერ გენერლის ჩინით იყო დაჯილდოებული. დედითის (მისი მეორე სახელი მანუჩარ, მოფერებით მანჩა) დედა კი დადიანის ქალი იყო. ისეთიც აღზეიმებული ჩოტყეების ოჯახისათვის დიდ პატივად ითვლებოდა ისიც, რომ სახლის უფროსი ზურაბ ჩოტყა ძველი წესისამებრ არჩეული იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ (ასპუთა-ბეგ) შარვაშიძის შვილების ალმზრდელად.

ეს ფაქტი, გიორგი შარვაშიძე და დავით ჩოტყა ძძიშვილობის უფრმნდეს ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი. ერთადაც იზრდებოდნენ (დავითი სულ სამ წლით იყო მასზე უმცროსი) და, როგორც მათი ბიოგრაფები აღნიშნავენ, ორივეს შინაური განათლებაც ქართულ-აფხაზურ კულტურასა და ადათ-წესებზე იყო დაფუძნებული. ოჯახურ წრეშივე გაეცნო იგი პირველად „ვეფხისტყაოსანს", რომელიც, როგორც ქვემით ვნახავთ, მის ყვარებულად ცხოვრებაში შემდეგში უბერავ სალბუნად მოეკლინა.

სხვათა შორის, ბავშვობა მონაწილეობა მიიღო რუსეთში მცხოვრებმა, ეროვნებით პოლონელმა, ბიოგრაფიიდან იურისტმა და შესაბამშაავა მწერალმა ვლადიმირ სპასოვიჩმაც, რომელიც ცნობილია არა მხოლოდ ჩინებული სახელურ მძღვანელოებთა და გამოკვლევებით იურისპრუდენციაში, არამედ ბრწყინვალე წერილებით ბეჭპარზე, ბიბლიოგრ, ბიბლიოგრაფსა და სლავური ლიტერატურის არაერთ წარმომადგენელზე.

ალსანიშნავია, რომ თვით ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვა სამოციანელებიც სპასოვიჩს თავიანთ ერთ ყველაზე ალიარებულ მოძღვრად თვლიდნენ.

საგულისხმოა ალრეთვე ილია ჭავჭავაძის ერთი უაზოტრო მეგობრისა და თანამებრძოლის გიგა ყიფშიძის ცნობა, რომელიც ილიას სტუდენტობის წლებს და სწორედ ვლადიმირ სპასოვიჩის, ანდერსენ ბიბლიოგრ, ბიბლიოგ, ბიბლიოგ, ბიბლიოგ

მესხეთის გზაზე

უცნაური განცდით, თრთოლვით
ვუმზერ ხერთვისს, ანყურს, ურთას.
ოცნებებით ასჯერ მოვლილს,
ფიქრით ასჯერ ნასათუთარს.

მზის სხივებით — ოქროს ხმლებით
ძველ რაინდებს ჰგვანან მთები.
ჭრა გზა-გზა ნანგრევები
როგორც ფიქრი წინაპრების.

ხან მგონია სამცხის ველის
ყაყაჩო თუ წიფელია,
არის უფრო სისხლის ფერი,
სისხლზე უფრო ნითელია...

მაგრამ ძველმა დარდმა, ზარმა,
ჩაიარა ძველმა წყალმა.
შემომცინა გზაზე ზარზმამ,
როგორც შოთას ლექსის ბნკარმა.

ამ ღიმილის ფასი ვიცით
და ისიც, რა ჯვარზე გვაცვეს.
გადარჩენილ მესხის სიცილს
დროშასავით არხევს სამცხე.

დღეს რაღა აქვს დასამალი
იდუმალას ან დამალის,
ზის ზარზმაში მესხი ქალი
და აკვნების ხმებით გალობს.

დღეს მესხელი ოფლით ქარგავს
მინას, ადრე სისხლით ნაღებს.
აღებს თავის სახლის კარს და
თან სამოთხის კარებს აღებს.

არ აკლია ზერები ზვარეს,
ვარდი კიდევ, ვარდის უბანს.
დასუნქავენ და დამსუდარ ზარებს
ხმები ისევ დაუბრუნდათ.

აჭარელი კაცის ხატად
იქცა მინა წინაპრისა, —
და კერიის კვამლით ხატავს
ახალ ზეცას მესხეთისას.

გადარჩენილ ვაზს თუ სოფელს
კვლავ სიცოცხლით ავსებს ხმები,
ჰგავს რუსთველის ლექსის სტროფებს
აღდგენილი ტფილისები.

სამცხეც, როგორც ;ვაზის ფესვი
ტანს იყრის და ფუზზე დგება...
კვლავ დაჯდება ვინმე მესხი
საქართველოს საღიდებლად.

ოთორა

ოშორლებს და ოშორაში ჩამოსახლებულ აჭარელებს ვუძღვნი ამ ლექსს.

ოშორაში მივალ, მარა
„სული წინ-წინ გაიპარა“.
ამ ოშორას — შიოს მარანს
ვინ დაჰკიდა გული კარად.

ოშორაში მივალ, მარა
„სული წინ-წინ გაიპარა“.

ეს სამცხე და ეს აჭარა
ასე რაღან შემაყვარა.

ოშორაში მივალ, მარა
„სული წინ-წინ გაიპარა“.
სადაც მტერი დგამდა კარავს,
ვაზმა ტანი აიყარა.

ოშორაში მივალ, მარა
„სული წინ-წინ გაიპარა“.
მონყენილი ცის კამარა
მერცხლებს ფრთებით დაუფარავთ.

ოშორაში მივალ, მარა
„სული წინ-წინ გაიპარა“.
ფანაკვალე, ვინც ამ შარას
ბაღახი არ გაეკარა.

ამ ცის, მიწის სიყვარული
უელვითით ვინც აბარა...
ოშორაში მივალ, მარა
„სული წინ-წინ გაიპარა“...

ოთაპი ნათქვამი ლექსი

რა აჭარა, რა მესხეთი,
ამერი და იმერეთი.
ერთი მინით, ენით, ღმერთით
საქართველო არის ერთი.

ხულია თუ ურთას მთაა
ორივ შვილი არის შენი.
საქართველოს ორი ფრთაა
უფრო მაღლა ასაფრენი.

ᲗᲝᲗᲐ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔ

ახალციხის თავდაპირველი სახელი თურქე „ლომსია“ ყოფილა.

წინაპრების დარდს და სევდას,
ნუხილსა და ტკივილს ეძმე.
მათ დაკარგულ სიყვარულს და
მათ დაკარგულ სახელს ეძებ.

ეძებ სისხლით ნაწერ სტრიქონს,
კვლავ მათიდე ცრემლით ნაშლილს.
ფიქრობ, ეძებ, ეძებ, ფიქრობ
ხან მინაზე, ხანაც ცაში.

ყველა სიტყვა, ანკარი, ლექსი,
შენი სისხლის ყველა წვეთი
ხარობს ტარ და კლარჯეთით,
ცოცხლობს მესხეთ-ჯაველთით.

ლომთან არის წილნაყარი
მესხეთი და შენი ვვარი.
საამაყოდ ისიც გყოფნის,
რაც დარჩა და რაც აქ არი!

ახლა, როცა თვითონ ენახე
ცრემლის ტბა და მკვდრების გორა.
მეცნო შენი ლექსის სახე,
დაჩეხილი მეტაფორა.

ახლა, როცა ვდგავარ უხმოდ,
ვიცი, რაა შენი დარდი.
მეცოდები ახლა უფრო,
ახლა უფრო შემიყვარდი.

მაოცებს და მიკვირს, განა,
შენ რომ ასე ნუხარ, დავობ.
არ გასვენებს ღლისთა ბანა,
არ გაძინებს ღამით ტაო.

ჯვარზე გაკრულ დარდს და ფიქრებს
ისევ სიტყვა შეელით, ალბათ.
ხანჯალივით ლექსებს იქნევ
და წარსულის ნუხილს კაფავ.

მახვილივით კალამს იქნევ
და გარს უვლი სამცხის მთა-ველს,
ნერ და ანყობ შენს კარგ ნიგნებს
როგორც მტრების მოჭრილ მკლავებს.

საგულეს და სისხლი ორფლას
შენს ნიგნებში ცრემლად ვინავს.
მამულისთვის დაღვრილ ოფლსაც
აქვს დაღვრილი სისხლის წონა.

ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ ᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲡ

მეჩვენება ვარძიის კედე,
ის ხერთვისი და ის ვალე —
ჰგავს ტყვიებით დაცხრილულ მკერდს,
ვაჟკაცების დათხრილ თვალებს.

ან გრაგნილი არის მთანი
და ვარძიის ის კედე მთელი,
არის „ვეფხისტყაოსანი“
დაწერილი საჭრეთელით.

დარბაზს ოქროს ფერებიანს
ჯილად ადგას შუქი მთების,
და თამარის ცრემლებია
დამსხვრეული ჩუქურთმები.

ხან მგონია, ტკივილია
მარადი და უსაშველო.
ხანაც კედლში ფუტკარივით
შეხიზნული საქართველო.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ
ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲤᲠᲘᲡᲔᲕᲘᲗ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡ მორიგი საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილეთა წელილსყრამ, რომელიც პარაზში მოეწყო, სსრ კავშირის ნაკრება მეორე შერჩევით ჯგუფში მოახვედრა. აქ მისი მეტოქეები იქნებიან პორტუგალიის, ფინეთისა და პოლონეთის გუნდები. საერთოდ კი 32 კოლექტივი დაყოფილია 7 შესარჩევ ჯგუფად. აქ გამარჯვებული და ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის — საფრანგეთის გუნდები შემქმნელ ევროპის 1984 წლის პირველობის 2 ფინალურ ქვეჯგუფს. ამ ეტაპზე თამაშები წრიული სისტემით მოეწყობა და ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი ერთმანეთს შეხვდებიან ოქროს მედლებისათვის. დანარჩენ შესარჩევ ჯგუფებში ქვეყნები ასე განაწილდნენ: I ჯგუფი. ბელგია, გდრ, შოტლანდია, შვეიცარია; III ჯგუფი. ინგლისი, უნგრეთი, საბერძნეთი, დანია, ლუქსემბურგი; IV ჯგუფი. იუგოსლავია, უელსი, ბულგარეთი, ხორვეთია; V ჯგუფი. იტალია, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, შვეიცია, კვიპროსი; VI ჯგუფი. გფრ, ავსტრია, ჩრდ. ირლანდია, თურქეთი, აღმბენთი; VII ჯგუფი. ესპანეთი, ჰოლანდია, ირლანდია, ისლანდია. მალტა. ჯგუფებში შეხვედრები 1983 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ეძღვნება ფიფას პირველი ვიეე-პრეზიდენტის ვ. გრანატკინის ხსოვნას. მეორე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი II-გფრ — 3:0, იტალია-ბულგარეთი — 2:0, სსრ კავშირი I-ბრაზილია — 2:2.

ᲡᲙᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ პოპულარულმა იუგოსლავმა ფეხბურთელმა, ევროპის სუფეთესო სნაიპერის ჯილდოს „ოქროს ბუცის“ მფლობელმა იოშკო სკობლარმა გაზეთ „სპორტსკე ნოვისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ილაპარაკა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის პრობლემებზე.

სკობლარმა მიიჩნია, რომ გათამაშების ფორმატად უნდა ჩათვალოს 7 გუნდი, რომლებიც ასეთი თანამმდევრობით დაასახელა: ბრაზილია, საბჭოთა კავშირი, არგენტინა, გფრ, იტალია, ინგლისი და ესპანეთი.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲒᲘᲐᲠᲖᲝᲢᲘ

ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲔᲗᲐ კურნალმა „ონზეა“ თხოვნით მიმართა გამოჩენილ სპეციალისტს, იტალიის ნაკრების მწვრთნელ ენეო ბერარზოტს შეედგინა ევროპის სიმპოლური ნაკრები ფეხბურთში.

აი, როგორ გამოიყურება ბერარზოტის ნაკრები: მოფი (იტალია), კალეი (გფრ), კროიფი (ჰოლანდია), კოლოვატი (იტალია), რენესკინი (ბელგია), შუსტერი, ბარატნერი (ორივე — გფრ), ყიფიანი, რუმენიგე, პრუბეში (ორივე — გფრ), ბეტეგა (იტალია).

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲛᲑᲐ. რიგში გთამაშდა საკავშირო ჩემპიონატის მედლების მეორე კომპლექტი. ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვა ლენინგრადელმა ნ. ბობრინმა. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოველი ვ. კოტინი. მესამეზე — მოსკოველი ა. ფადეევი.

ᲧᲘᲐᲚᲑᲐᲠᲗᲘ. წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის საწყისი ეტაპის მატჩები მიმდინარეობს ბაკოსა და მინსკში. თბილისის დინამოელებმა, რომლებიც ბაკოში ამპარტაზობენ, პირველ ღღეს შეხვედრა წააგეს კასპიის წითელდროშოსანი ფლოტელის (ბაკო) გუნდთან — 8:9, ხეირე ღღეს — მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივთან — 5:6, ხოლო მესამე ღღეს დაამარცხეს მოსკოვის „ბოსკინი“ — 7:5.

ᲗᲐᲯᲘᲙᲐᲗᲘ. პორაში (გფრ) მიმდინარე საახალწლო ტურნირში ბოლო, მეთერთმეტე ტურის წინ მიიღილ ტალს 8,5 ქულა ჰქონდა ე. მაილს (დიდი ბრიტანეთი) — 7 (1), ვ. ჰორტს (ჩეხოსლოვაკია) — 7, თამაზ გიორგაძეს — 6,5 ქულა.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲔᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲐᲨᲡ ᲣᲙᲠᲐᲕᲔᲜ ᲡᲝᲢᲙᲘᲚᲐᲕᲐᲡ

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსებზე ლაურეატი, ბოლონიის აკადემიის სპპატიო წევრი, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავა ახალ წელს ბოლონიაში შეხვდა. იტალიის უძველეს საოპერო თეატრში იგი ასრულებს რადამესის პარტიას ვერდის ოპერა „აიდაში“. თეატრის ხელმძღვანელობამ ამ პარტიის შესასრულებლად სპეციალურად მიიწვია საბჭოთა ვოკალისტი, რომელიც ორი წლის წინათ დიდი წარმატებით გამოვიდა ამავე სცენაზე სპექტაკლ „ოტელოში“ და იტალიელ „მსმენელთა ალიარება მოიპოვა.

8 თებერვლიდან შოტლანდიასა და ინგლისში დაგეგმილია სპექტაკლები ქართველ მომღერლის მონაწილეობით და მისი სოლო კონცერტები.

ივნისში თბილისს საგასტროლოდ ეწვევა სსრ კავშირის დიდი თეატრი. ამ თეატრის სახელგანთქმულ დასთან ერთად ბშოლეურ ქალაქში გამოკლენ ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქარაშვილი. ისინი ერთად იმღერებენ ვერდის „ბალ-მასკარადში“ და ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებაში“.

□ □

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲝᲑᲐ

ᲙᲐᲯᲕᲐᲚᲘᲘᲡ შავი ზღვის სანაპიროზე დროზე ადრე გაიღვიძა მიმოზამ, ვერცხლისფერმა აკაციამ, აყვავდა კამელია. მისი უჩვეულოდ ლამაზი ყვავილი თვალს ახარებს — თეთრად, ყოლოსფრად და წითლად ღვინის და ასე იყვავილებს გვიან გაზაფხულამდე, განსაკუთრებით ლამაზია „კამელია, როგორ თოვს“-თეთრ ფონზე მკაფიოდ მოჩანს მისი მარადმწვანე ფოთლები და ფერადი ყვავილები.

ბარკუმსა და სკვერებში გაზაფხულის სუნი დატრიალდა — ერთმანეთშია არეული ვარდის, რეკანისა და ყასმინის სურნელება.

გასაოცრად ლამაზია ვარსკვლავისებრი მაგნოლია. ეს ხე ზამთრობით დიდი თეთრი ყვავილებით იფარება. ფერების გიფმორებელ გამას — მუქი ვარდისფერიდან თეთრამდე ქმნიან ყოჩივარდები.

იქ, სადაც ბევრი მზეა, ჩნდება პირველი ზაზილები, ხოლო სადაც ნალექი მოვიდა — ფერიცულები. შუა ზამთარი იაპონური კომშის, მეზამთრიას, სურნელოვანი ზეთისხის, იუკის, ხემარწყვის ყვავილობის ხანაა. ამ დღეებში გაიფურჩქნა ვარდი, ავოკადო, ნუში.

საპაერო ლაინერებს ყოველდღე მიაქვთ ყვავილები მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის სფრინმო მაღაზიებისათვის.

3. ᲧᲣᲚᲘᲘᲡᲙᲘᲠᲘ,

სსრ კავშირის გეოგრაფთა საზოგადოების წევრი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი სპეციალისტი. (საქონ. ფორმა).

თვალწინ თოვლი გვიდგას
თოვლის მოლოდინში.

ს. კილაძის ფოტოეტიუდი.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

„ᲓᲠᲝᲨᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡᲔᲑᲘ

ჟურნალ „დროშის“ 1981 წლის ლაურეატებს შორის არიან: **ვარონ ალოფოვი** (სპორტული ნარკვევებისათვის „ისევ ფეხბურთი“ და „ყიდეკ ვრთი მწვერვალი“), **ვლადიმერ ალფენიძე** (მოთხრობებისათვის „სიყვარული და უკეთდავება“, „ღვიაებრივ ხილეთა ღამე“), **ამირან გაბესკირია** (ფაზილ ისკანდერის მოთხრობის თარგმნისათვის), **ვახტანგ გეკტაძე** (ლირიკული პოემისათვის — „საქართველოდან ყამარ მიწაზე“ და მხატვრული ნარკვევებისათვის „თამარ ეუფენიას წერილი“, „ჯარისაცის დედა“), **გიორგი ბერგაური** (მხატვრული ნარკვევებისათვის „ბზე რუხის ციხეზე“), **არჩილ გოგალია** (წერილისათვის „დინამოს“ ახალი ალმართი“), **ნოდარ გურაბანიძე** (წერილისათვის „გამარჯვება“), **ნოდარ გურიშვილი** (სპორტული ნარკვევისათვის „ტყუილად როდი ვქმიანობდით“), სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **გიორგი თოფთაბაძე** (ვ. ი. ლენინის პორტრეტისათვის), **მიხეილ კვირიკაშვილი** (ფოტოსურათისათვის „ხევსური გოგონა“), **ვახტანგ ჭეიდლიშვილი** (მხატვრული ნარკვევებისათვის — „ნინო ანანიაშვილი“ და „ნათელი კაცი“), **ალექსანდრე ტაბატაძე** (მხატვრული ნარკვევისათვის „არაგვის ხეობაზედა“), **მორის ფოცხიშვილი**, (ლექსისათვის („თბილისობა“), პროფესორი **ვენერი ქვაჩახია** (წერილისათვის „რა ძეს კაცით კაცამდე“), **რაულ ჩილაჩავა** (ლექსების ციკლისათვის), **ოთარ ჭელიძე** (ლექსისათვის „მოლოდინის ბალადა“).

პრემიები (200 მანეთი თითოეულს) დაიმსახურეს ფოტოჟურნალისტებმა: **თარხან არჩვაძემ, ბონდო ფდფვაძემ, არნოლდ გიგიტკორმა, მალხაზ დათოაშვილმა, ზურაბ დათუაშვილმა, სერგო ედიშერაშვილმა, გივი კაკაბაძემ, მიხეილ ნახბერგმა, ანატოლ რუხაძემ.**

ᲒᲐᲓᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲮᲕᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲗᲐᲮᲕᲘᲠᲘ

მრავალი ასეული წლის წინათ მესხეთში, ზარზმის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა ბერეკი, სახიერი ადამიანები მჭიდროდ დასახლებული და აყვავებული სოფელი თხვირი.

გადმოცემით ერთ ავბედით დღეს თურქეთის ჯარი შესევია სოფელს და მოსახლეობა დიდიანი-ატარიანად გაუელტია, გადარჩენილა მხოლოდ ერთი ბასალაური სილამაზის გოგონა, რომელიც ჯარის მეთაურს არტაანში გაუტაცია და ცოლად შეერთავს. ასე ალგილი პირისაგან მიწისა სოფელი თახვირი, რომლის შესახებ ცნობა დღემდე შემოუნახავს ლეგენდებს.

გადაშენდა და სრულ დავიწყებას მიეცა შესანიშნავი ცხოველი თახვიც, საიდანაც მიუღია სოფელს სახელწოდება (თახვირი).

მეათე საუკუნის ქართველი მწერალი ბასილ ზარზმელი თავის ნაწარმოებში „ცხოვრება და მოქალაქეობა სერაპიონ ზარზმელისა“ გვაუწყებს, რომ სწორედ აქ, ამ მიდამოებში, გოდერძის ხეობიდან ალმოსავლეთით არსებობდა ტბა, რომელსაც დიდძალი თახვის ბინადრობის გამო ეწოდებოდა „სათახვე“. აქეთკენ ისწრაფოდნენ მონადირეები, რომლებიც ხშირად ჩხუბობდნენ კიდეც ნადირობის უფლებისათვის. დღეს ტბამ დაკარგა ძველი სახელწოდება და იგი მოსახლეობისათვის ისევე უცნობია, როგორც ცხოველი თახვი.

რას წარმოადგენს თახვი და როდის გადაშენდა იგი საქართველოში?

თახვი ყველაზე დიდი ზომის მღრღნელი ძუძუმწოვარია, რომელიც ზოგჯერ 30 კილოგრამს აწონს. სხეული დაფარული აქვს ძვირფასი, აბრეშუმივით მბზინავი წაბლისფერი ბეწვით. ამ ნაზი, მოალი ბეწვისაგან დამზადებული ქუდი, რომლის წონა 25 გრამს არ აღემატებოდა, ძველთანაც ძვირად ფასობდა.

თახვის კუდი გამტკაცებული, ნიჩბისებური და შეშველია, ხოლო ხუთთითიანი კიდურებზე, თითებს შორის, განვითარებული აქვს ცურავი აპკი, სხეულის ბოლოში ბუცის მხარეს აქვს მოზრდილი ჯირკვები, საიდანაც გამოიყოფა სურნელოვანი ცხიმოვანი ნივთიერება, ბგერეთ წოდებული „თახვის ყაინრი“. ამ ნივთიერებას ცხოველი თითების საშუალებით ბეწვზე იცხებს, რის შედეგადაც წყალში არ სველდება.

თახვის ყაინრს ამჟამად ფართოდ იყენებენ პარფიუმერიაში, ძველ დროში კი მას მედიცინაში ხმარობდნენ. იგი უებარი საშუალება ყოფილა დაგესვლისა და მომზამზის წინააღმდეგ.

საფრანგეთსა და გერმანიაში დიდად აფასებდნენ თახვის ხორცს, განსაკუთრებით კი მის კუდს, რომლისგანაც განსაკუთრებულ, გემრიელ საჭმელს ამზადებდნენ.

თახვი უმეტესად ტყის პატარა, წყნარ მდინარეებში ბინაობრობს, სადაც უხვი ბალახოვანი საფარი და რბილმერქნიანი მცენარეებია (ვეირხვი, ალვის ხე, არყი, ტირიფი, და სხვა), თუმცა უკიდურეს შემთხვევაში, მას შეუძლია გამოიყენოს ისეთი მაგარმერქნიანი მცენარეებიც კი, როგორიც მუხა.

თახვი სოროს იკეთებს წყლის ბახლოსოდ, იქ კი სადაც სოროს გათხრა შეუძლებელია (მაგალითად, დაბალ, ჭაობიან სანაპიროებზე) თახვები წყნელს, ტოტს და ქვის ქოხებს აგებენ, რომელსაც წყალს ფსკერიდან ამოღებული თიხანარევი ტალახით ლესავენ. ქოხსა თუ სოროს შესასვლელიც და გამოსასვლელიც აუცილებლად წყლის მხრიდან უკეთდება, რაც ცხოველს საიმედოდ იცავს მტრისაგან.

ძლიერი გვალვებისას, როცა მდინარეში წყლის დონე მცირდება და ცხოველის ბინაში ჩაყლეტვაში შესაძლელი თვალსაჩინოდ ხდება, თახვი იწყებს მდინარეზე კაბალთა აგებას. ამ მიზნით მას მოაქვს მოჭრილი ხეების წვრილი ტოტები, ბელტები, წყლის მცენარეები, ქვა და თიხა, ამგვარად ახერხებენ თახვები წყლის საჭირო დონის შენარჩუნებას.

თუ ბინის მახლობლად საკვები ამოწურა და თახვები იძულებული ორიან შორს წავიდნენ საკვებაზე, ამ შემთხვევაში ღრმა და გრძელი არხები გაპაკეთ ტყეშიც, რათა მათი საშუალებით შეუმჩნეველად „გაცურონ და თან იოლად დაგიბრუნონ მოჭრილი ხის ტოტები.

წარსულ საუკუნეებში თახვი მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული, XX საუკუნის დამდეგისათვის კი იგი მხოლოდ აქა-იქ თუ შემორჩა. საბჭოთა კავშირში ამჟამად ცნობილია ეიროპეიის სახელმწიფო ნაკრძალი, სადაც იცავენ და ამრავლებენ თახვს.

საქართველოში ზოგიერთი მკვლევარი უარყოფდა თახვების არსებობას, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების დროს ქუთაისის მახლობლად, საკაიას (ვირხოვის) გამოქვაბულში იპოვეს თახვის ნაშთები.

ძველი ბერძნული წყაროების ცნობით, წყარსულში თახვი მოიპოვებოდა პონტოს (შავი ზღვის) აღმოსავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ამ ადგილებს ეწოდებოდა „ბერძენ-ალანთა ქვეყანა“. ამასთან ერთად ავტორები აღნიშნავდნენ, რომ პონტოს თახვი სჯობდა სხვა ქვეყნების (მაგალითად, ესპანეთის) თახვებს: სტრაბონის სიტყვით, ბერძენ პონტოს თახვის ყაინრს ჰქონდა სამკურნალო თვისებები.

IX-X საუკუნეებში თახვის სეზონი ეანთქმული იყო სამხრეთ საქართველოში ძლებარე ტბა „სათახვე“. უფრო ადრინდელი წყაროების მიხედვით კი თახვები მოიპოვებოდნენ მდინარე ნატანების შენაკადებში, სვანეთის მდინარეებში, სახელდობრ, ჭუბერსა (ნენსკრა), ხეცედლურში და ა. შ.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თახვი კოლხეთის დაბლობის მდინარეებში XVIII საუკუნის დასასრულამდე არსებობდა. რეგორც ჩანს, თახვები ყველაზე დიდხანს შერჩინენ ლეჩხეთის მდინარეებში. აქაური ხალხიზეული მოხდირეები დღესაც ადასტურებენ, რომ მათ სმენიათ თახვის ამბავი, რომელიც ამჟამად გადაშენებულია.

ამ სტრიქონების ავტორს საშუალება ჰქონდა ლეჩხეთში შეხვედროდა თახვის უკანასკნელ მხეველს — ღრმად მოხუცებულ კაცს მეშველიანს, რომლის მამამ — ბესამ თახვი მოუკლავს მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. გამოიკვლა, რომ კაცო მეშველიანი ძალიან კარგად იცნობდა თახვის ნიშნებს და განსაკუთრებით ფფასებდა მის ჯირკვლებს, რომელსაც თვალმარგალიტს უწოდებდა.

ასეთია ბედი იმ ცხოველისა, რომლისგანაც მთელი სახელწოდება იავარქმნილმა სოფელმა თავიდან.

ვინ იცის, ეამთა სიავით რამდენი რამ დაგვიკარგავს, რამდენი რამ ამოშლილა ადამიანის მეხსიერებიდან, თახვირის ოდესღაც არსებობის ცნობამ კი დღემდე მოაღწია ხალხური გადმოცემებით.

თ. კოსოკიძე,

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დოცენტი.

— ოო! თოვლის ბაბუას გაუმარჯოს! — ბოთლებს რომ არ ვიბარებ!

უსიტყვოდ.
ბ. ᲨᲘᲠᲘᲜᲚᲐᲫᲘᲡ, ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ, ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ, ᲒᲘᲠᲐ ᲨᲘᲠᲘᲜᲚᲐ